



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ

საქმე №2ბ/4710-10

17 თებერვალი, 2011 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: ირაკლი ადღეიშვილი
მოსამართლეები: თინათინ ეცადაშვილი
გოდერძი გიორგიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – ზეპური ბერიძისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2011 წლის 15 მარტს 17:45 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავს სს “ვითები ბანკი ჯორჯია”-ს შუამდგომლობას მერაბ აბაშიძის, მამუკა, ზეპური და ოთარ ბერიძეების მიმართ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე. მოწინააღმდეგე მხარეს – ზეპური ბერიძეს რამოდენიმეჯერ გაეგზავნა უწყება სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ აღნიშნულ პირზე უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო

ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე ზეპური ბერიძისათვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სააპელაციო პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს სასამართლო სხდომის დღის შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს ზეპური ბერიძეს სასამართლო სხდომის დღის შესახებ, რომელიც დანიშნულია 2011 წლის 15 მარტს 17:45 საათზე. სხდომა გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა, დარბაზი №20);
2. განემარტოს ზეპური ბერიძეს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს;
3. აღნიშნულ პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით ზეპური ბერიძეს სსსკ 356²²-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განემარტოს, რომ სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.
4. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
5. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/ირაკლი ადეიშვილი/

მოსამართლეები:

/თინათინ ეცადაშვილი/

/გოდერძი გიორგიშვილი /

